დადგენილება:**დ-81. 81261754**

თარიღი:**24/06/2026**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N10

„ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის N40 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდი:15/11/2017წ; 010260020.35.116.016359) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: მერიის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის კოორდინაციისათვის ხელშეწყობა, მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის, საქმისწარმოების, სამართლებრივი, საკადრო საკითხთა, მერის წარმომადგენლებთან მუშაობის ორგანიზება, აგრეთვე საკრებულოსა და მერიის საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკურად უზრუნველყოფა. ადმინისტრაციული სამსახური აგრეთვე უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის პროცესის განხორციელებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვასილ საღინაძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. N65, ტელ: +995 551179741
ელ.ფოსტა: tsagerissakrebulo@gmail.com